

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები	31,12,2018	31,12,2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	3 912	74
სავაჭრო მოთხოვნები	496 684	407 541
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		
მარაგები	430 929	453 792
- მზა პროდუქცია	119 163	182 053
- სხვა	115 661	86 534
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	196 105	185 205
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4 224	4 224
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები	298 709	310 167
სულ აქტივები	1 234 458	1 175 798

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	192 316	216 300
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	21 048	-
საგადასახადო ვალდებულებები	4 135	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	456 194	454 777
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	673 693	671 077

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო')	38 150	38 150
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	522 615	466 571
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		
სულ საკუთარი კაპიტალი	560 765	504 721
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 234 458	1 175 798

დირექტორი



თ. მერებაშვილი

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	544 720	
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
საწყისი მარაგები	(268 588)	
მარაგების შესყიდვა	(196 428)	
გადაღებული დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	234 825	
საერთო მოგება	314 529	

სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(80 637)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(11 458)	
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	(18 771)	
იჯარის ხარჯი	(147 619)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		
სულ საოპერაციო ხარჯები	(258 485)	

საოპერაციო მოგება	56 044	
-------------------	--------	--

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	56 044	

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		

მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		
მოგება/(ზარალი)		

მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	466 571	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	56 044	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	522 615	

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	544 855	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(541 017)	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	3 192	
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	74	

დირექტორი



თ. მერებაშვილი

ვამტკიცებ

შპს „თიემთი“-ს დირექტორი



01 თებერვალი 2019

შპს „თიემთი“-ს

ს ა ა დ რ ი ც ხ ვ ო პ ო ლ ი ტ ი კ ა

შპს „თიემთი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 25 ივლისს. რეგისტრაციის სერია გსი, №38

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. კასპი, ჭავჭავაძის ქ. 35

ადგილსამყოფელი (ფაქტობრივი მისამართი): საქართველო, ქ. კასპი, ჭავჭავაძის ქ. 35

საიდენტიფიკაციო კოდი: 232554688

1. ზოგადი დებულებანი

1.1. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება და კონსერვირება;
- კვების პროდუქტების წარმოება, შესყიდვა და რეალიზაცია;
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

1.2. საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის(საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება;

1.3. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

- საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები;

1.4. საწარმოს სტრუქტურა:

- საწარმოს ფილიალები არ აქვს

1.5. წინამდებარე საადრიცხო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“,

- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“,
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს).

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი

-

1.6. წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრიდან.....

1.7. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საწარმოს დირექტორი.

2. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩული ფორმა და მეთოდები

2.1. ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა - კომპიუტერული პროგრამა „ორის ბუღალტერიის“ მეშვეობით.

2.2. ფულადი ნაკადების აღრიცხვა-ანგარიშგება:

2.2.1. სამუშაო ვალუტა - ეროვნული ვალუტა, ლარი;

2.2.2. ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით;

2.2.3. მიღებული დივიდენდები კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები - როგორც ფინანსური ოპერაციები;

2.2.4. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;

2.2.5. საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები აისახება თვითღირებულების მოდელით. ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები აისახება თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით;

2.2.6. სხვა მოთხოვნები ფულად ნაკადებთან დაკავშირებით მსს ფასს-ის მე-7 განყოფილების შესაბამისად.

2.3. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

2.3.1. ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად;

2.3.2. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება - თვითღირებულებით ან რეალური ღირებულებით:

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გატმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას.

თვითღირებულებაში არ შეიტანება:

- ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობები და შეღავათები;
- ახალი სიმძლავრეების ათვისების დანახარჯები;
- ახალი პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯები (მათ შორის, სარეკლამო და სტიმულირების დანახარჯები);
- დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალ ადგილზე ან მომხმარებელთა ახალ კატეგორიასთან კომერციული საქმიანობის წარმოებასთან (პერსონალის სწავლების დანახარჯების ჩათვლით);
- ადმინისტრაციული და სხვა საერთო ზედნადები დანახარჯები;
- ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები.
- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით. თვითღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება);
- რეალური ღირებულებით შემოსავალში აიღება:
- არაფულად აქტივზე (აქტივებზე), ან ერთდროულად ფულად და არაფულად აქტივებზე გავლით მიღებული ძირითადი საშუალებები;
- უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები.

ჯგუფები:

.....

2.3.3. მიწა და შენობა-ნაგებობები აღირიცხება განცალკევებულად. თუ ისინი ერთად არის შეძენილი, მათი ღირებულება გაიმიჯნება ექსპერტული შეფასების გზით;

2.3.4. ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათი დისკონტირებული ღირებულებით;

2.3.5. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. აღირიცხება - თვითღირებულებით ან რეალური ღირებულებით;

2.3.6.100 ლარამდე ღირებულების ან/და ერთჯერადი გამოყენების საგნები, აგრეთვე ის საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად, სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში;

2.3.7. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

2.3.8. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით - თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით;

2.4. საინვესტიციო ქონების აღრიცხვა:

2.4.1. საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირდება მიწა ან შენობები, ან მათი ნაწილი, საიჯარო შემოსავლების მიღების ან/და ღირებულების ზრდის მიზნით. თუ ქონების მიზანი განსაზღვრული არ არის - აისახება საინვესტიციო ქონების შემადგენლობაში;

2.4.2. საინვესტიციო ქონება აღირიცხება ძირითადი საშუალებებისაგან გამიჯნულად;

2.4.3. საინვესტიციო ქონება აღრიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო თუ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება მოითხოვს მიზანშეუწონელ დანახარჯებს, ან ძალისხმევას - აღირიცხება თვითღირებულებით. ამ შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნდება მიზეზები, რის გამოც მოცემული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასებას სჭირდება მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა;

2.4.4. საინვესტიციო ქონება, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში ვერ დააკმაყოფილებს მსს ფასს-ის მე-16 განყოფილებით დადგენილ კრიტერიუმებს, გადაიტანება ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში.

2.5. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა:

2.5.1. შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; და

- უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;

2.5.2. სახელმწიფო გრანტის მეშვეობით შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით გრანტის მიღების თარიღისათვის;

2.5.3. არაფულად აქტივზე (აქტივებზე), ან/და ფულად და არაფულად აქტივებზე გაცვლის შედეგად შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით. იმ შემთხვევაში, როდესაც გაცვლის ოპერაციას არა აქვს კომერციული შინაარსი, ან/და შეუძლებელია როგორც მიღებული, ისე გადაცემული აქტივის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, არამატერიალური აქტივის თვითღირებულება განისაზღვრება გადაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით.

2.5.4. საწარმოს შიგნით გაწეული დანახარჯები ახალი პროდუქციის შექმნაზე, აგრეთვე სამარკო ნიშნისა და ლოგოს შექმნაზე არ მიეკუთვნება არამატერიალურ აქტივებს და აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად;

2.5.5. არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრება საწარმოს მიერ მისი სავარაუდო გამოყენების პერიოდით, სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებების ვადის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში არაუმეტეს 10 წლის ვადით;

2.5.6. არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

2.5.7. ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აისახება ნარჩენი ღირებულებით თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით;

2.6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანუ მარაგების აღრიცხვა

2.6.1. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;

- სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდი - უწყვეტი;

- სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდი „საშუალო-შეწონილი“;

- დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით. საწარმოო ზედნადები ხარჯები

ჩამოიწერება გაანგარიშებული (გეგმიური) ხარჯების მიხედვით, ხოლო ფაქტობრივი ხარჯები აისახება ზედნადები ხარჯების სინთეზური ანგარიშის დებეტში. ფაქტობრივი ზედნადები ხარჯების გადამეტება პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანილ ზედნადებ ხარჯებზე წლის ბოლოს მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ხარჯებს;

- პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი მასალების ხარჯი შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში, ხარჯვის ნორმების საფუძველზე;

- წარმოების პროცესში მიღებული ნარჩენები შემოსავალში აიღება მათი შემდგომი გადამუშავების მიზნით, ხოლო ნარჩენები, რომელთა გადამუშავება შეუძლებელია ან/და საწარმოში არსებული ტექნოლოგიური პროცესი ვერ უზრუნველყოფს მათ გადამუშავებას, ნადგურდება დადგენილი წესით;

- პროდუქციის უსასყიდლოდ გადაცემა საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებზე, სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციებზე, საბავშვო და მოხუცებულთა სახლებისათვის ჩამოიწერება არასაოპერაციო ხარჯებში, ხოლო საგადასახადო ანგარიშგებაში აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით;

- დამატებითი ანალიზური აღრიცხვა დასაშვებია სხვა კომპიუტერული პროგრამებითაც.

2.7. საწვავის აღრიცხვა

2.7.1. ავტოსატრანსპორტო საშალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. ტალონები აგარიშვალდებულ პირებზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშალებების მიხედვით და აღირიცხება უწყისებში.

2.7.2. საწვავი დისტრიბუციის სატვირთო ავტოფურგონებზე ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

2.8. ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

2.8.1. მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

2.8.2.50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;

2.8.3. კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ევრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

2.8.4. სამშენებლო და საექსპლუატაციო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციისა და მიმდინარე შეკეთებისათვის საჭირო სათანადო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

2.9. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა და მოგება-ზარალის ანგარიშგება:

2.9.1. შემოსავლები და ხარჯები აღრიცხება დარიცხვის მეთოდით;

2.9.2. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

2.9.3. ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით

2.9.4. წარმოების დანახარჯები აისახება 7100 სინთეზურ ანგარიშზე, პროდუქციის რეალიზაციის - 7200 სინთეზურ ანგარიშზე, მიწოდებისა და რეკლამის ხარჯები - 7300 სინთეზურ ანგარიშზე, ხოლო ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები - 7400 სინთეზურ ანგარიშზე, რომელთაც საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ეხსნება სუბანგარიშები. დანახარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით აღრიცხება დიფერენცირებულად;

2.9.5. არსაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები აღრიცხება შესაბამისად 8100 და 8200 სინთეზურ ანგარიშებზე;

2.9.6. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

2.10. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება. მოგების განაწილება

2.10.1. საზოგადოების კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და 38150 (ოცდათვრამეტი ათას ასორმოვდაათი) ლარს შეადგენს;

2.10.2. კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

2.10.3. მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

- დივიდენდების გასაცემად;
- საზოგადოების რეინვესტირებისათვის;
- სხვა დანიშნულებით.
- პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით გასაცემი დივიდენდები პარტნიორთა შორის ნაწილდება წილის პროპორციულად;

2.11. საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა

2.11.1. საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად;

2.11.2. საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. დაბეგვრის ობიექტია:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

2.11.3. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებული, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები აისახება საგადასახადო ანგარიშგებაში;

2.11.4. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

3. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

საწარმოებს, თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სააღრიცხვო პოლიტიკის ამ თავში შეუძლიათ შეიტანონ დაზუსტებული ანგარიშთა გეგმა დამატებითი ანგარიშების გახსნით.

ხელმოწერები:

დირექტორი

დირექტორის მოადგილე *ქ. შიქიძე*

ბუღალტერი

მ. ნიკოზიძე